# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 180. ხუთშაბათი, 1 იანვარი 1904 წ. გაზეთის № 2368.


### ახალი წელი ფშავში

ახალ-წელიწადს ელიან,
ბალღები სხედან კერაში,
მუგუზლებს აჩინჩხალებენ,
დროს ატარებენ მღერაში.
თან დედას ეხვეწებიან:
„დედავ, დაგვიცხვე კვერები!“
დილით თაფლ-ერბოს ელიან
ტკბილეულობის მტერები.
და-ძმებსა ერთმანეთისთვის
გადუხვევიათ ხელები,
„ჩქარა გათენდი!“ ნატრობენ
ღვთისთვის ვედრები სმთქმელები.

*
* *

დარბაზში ცეცხლი ანთია,
გაჩაღებული ტკრციალებს.
სამზადისშია თეთრუა,
ჯარასავითა ტრიალებს:
ძელზე კეცები მიჰყუდა,



წელი.

შეუდგა პურის ზელასა,
ხმიადის ბედის-კვერებსა
ის გამოუცხობს ყველასა.
იმით გაიგებს შვილების,
საქონლის ბედისწერასა;
თავისთვის, თავის კაცისთვის
ის კვერებს არა ცდილობდა.
რა საჭიროა, [illegible] მათთან
წუთისო[illegible]
დათრთვი[illegible] ემთა დენამა
[illegible]—ცოლი, ქმარია;
ოჯახზე ფიქრმა და ჯავრმა
დაჰჩაგრა, ხელი დაჰრია;
თავისი ბედის-კვერები
მათ ადრევ შეუჭამია.

*
* *

დღეს შვილებისა მოლხენა
დედისთვისაც სიხარულია,
აშრომებს ძალა-უნებრივ
ბალღების სიბრალულია.
ამ დღისთვის ქმარსაც ელოდა,
შირაქში არი ცხვარზედა,
არ მოუვიდა რადლაცა,
დაფიქრებულა მაზედა.
გარეთაც შავი ღრუბლები
არეულია ცაზედა;
ის ეგონება მნახველსა,
ზღვა დაცემულა ზღვაზედა.

Библиотека



ძველი წელიწადი

„ავი კი არა შაემთხვას
იმ ბეჩავს კაცსა გზაზედა;
არ გადურჩება სიკვდილსა,
თუ წამოვიდა მთაზედა!“
ცოშსა ჰზელს ვარცლში თეთრუა,
თან ამას ჰფიქრობს ქმარზედა.

*
* *

გარეთ კი თოვლი ნაპენტი
მიწას ედება, დუდუნებს,
თან მოსდევს ქარი მხლებლადა,
ისიც იმასთან ზუზუნებს:
ხან კარის ზღურბლზე მოდგება,
კურატივითა ბუბუნებს,
ხევებშიც გადაიჭრება,
გარისხიბოთოი ღუღუნებს.
შორს თუ წავიდა, მაშინ კი
სნეულივითა კრუსუნებს.
„ადეთ, ბალღებო, დაწევით,
უნდა გადმოვდგა კეცები;
ვერ ჰხედავთ კერას აბანდებთ,
რადა ხართ იმდნად ბეცები?!
დაწევით, შვილო, დაწევით,
თუ გსურთ დაგიცხოთ კვერები...
აბა აასწროზს არ ვისა,
ის ტკბილად დასაბერუბი!“
დედის ამ სიტყვის თქმაზედა
ბალღებსა სწყდება წელები...

*
* *

დედა-ბოძისა ჩ.ქან
მაო




გურია. გურული სახლი.

ჩაეწყვნენ ძელების შუა,
უდგათ ხელების ბოტინი.
დედამ ფარდაგი წაჰხურა,
ერთიც ნაგლეჯი ფლასისა,
ფეხებზე კაბა მიაგდო
და ფაფანაგი თავისა:
თუ გადიხადეთ, „ვაი თქვენ“,
სჭუჭკავს თან მთქმელი ამისა.
პატარა ქალმა ნენემა
თან ჩააწვინა თოჯები;
ეწყვნენ ლოგინში ბალღები
ვით დოლფარაში გოჭები.
პურის ცხობასა, თეთრუავ,
ნეტავ როდისღა მორჩები?!
ლოგინის ბოლოს ვარცლი დგა,
თავით საპურე გოდორი.
ზედა ზის ჭრელი დედალი,
მას თავს უმშვენებს ქოჩორი;
ხოლო მხარს—მისი მეუღლე,
გვირგვინოსანი მამალი,
იმათ ფეხებზე ჰკიდიათ
ქვეყნის თავ-გადასავალი:
მათ ახალწელი მაშინა,
როს საკენკი აქვთ მრავალი.

*
* *

შუა ღამეა. კერაზე
ცეცხლი ოდნავლა ბჟუტავდა
და შავი კატა ცეცხლის პირს
იჯდა, თვალებსა სჭუტავდა.
ქათამი იქექებოდა,
ხამუშ-ხამუშად კრინავდა,
ზევით, მივარდნილს კუთხეში
ხარი ნიკორაც ფშვინავდა.
გახშირებული ძილია,
მთელი დარბაზი ხვრინავდა;
გარეთ ბუნება ჯავრობდა,
დედა-მიწასა ჰყინავდა.
არ ისვენებდა ქარიცა,
ავს ძალლივითა ღრინავდა;
სულს ჰხუთავს: ბუ და ღამურა
ერთიც ველარა ფრინავდა.
ახალს იწყობდა სიცოცხლეს,
ძველს ცხოვრებასა სწირავდა
ქვეყანა, ასე შავნიშნე,
კიდეც იმიტომ გმინავდა:
არ ეთმობოდა წარსული,
მკერდს იმჯიღავდა, დრტვინავდა.

*
* *

გარიჟრაჟია. ლოგინში
დედა მიუხტა შვილებსა,
პირით ჰხდის ძველმანს სახურავს,
ჩაებუბნება ტკბილებსა:
„ენაცვალოსთ დედა-მშობელი
ამ ჩემსა ოქროს ღილებსა!“
კოვზით თაფლ-ერბოს სთავაზობს,
დაალებინებს პირებსა.
დედისგან ნაზიარებლებს
ღმერთიც დაუზდის გმირებსა.
„დაბერდით ასე ტკბილადა,
შვილებო, როგორც თაფლია,
მფარველად გედგესთ თავზედა
ღვთის და ხატების მადლია!“
დედისა ხელით ნაჭმევი
შხამიც რომ იყოს ტკბილია,
თავის თავს უკვდავადა ჰგრძნობს
ასეთ ძღვნის შემდეგ შვილია.

*
* *



გურული ბიჭი გოდრით

წამოიშალნენ ბა[illegible]ები,
ვის აგონდება ძ[illegible]ლია?!



Цинк Груз. Т-ва.

გურია. წისქვილი.

შეექცევიან თაფლ-ერბოს,
ჭამეს სხვა და სხვა ხილია:
ზოგი რამ კახური ვაშლი
და ზოგიც პანტის ჩირია.
ხინკლისთვის საკიდელზედა
დიდრონი ქვაბი ჰკიდია:
უხინკლოთ ახალი წელი
არაფერსა ჰგავს, ფინთია.
მეკვლე არა სჩანს, საცაა
იმისი მოსვლა წესია;
არ მოდის მოსალოცადა,
ენა არ გაულესია.
აგერ, გამოჩნდა მოხუცი
მოლოდინაანთ ბერია,
უკვალავს თოვლსა მოჰკვალავს,
თან ჯოხი დაუბჯენია.
წინ მიეგება თეთრუა
და მიაწოდა კვერია;
აგორებს ისიც დარბაზში,
სცნან ღმერთს რა დაუწერია:
ღვთით, კვერი წალმა დაბრუნდა,
ვერ გაიხარებს მტერია...

*
* *

კმაყოფილია თვით მეკვლე,
რომ კაი კვალი ჰქონია;
დიასახლისსაც უხარის,
ღმერთი თავის შინ ჰგონია.
მეკვლე მიჰბიჯავს დარბაზში,
თან ამას ამბობს მტკიცედა:
„ფეხი ჩემი და კვალი ღვთის!“
ღიმილიც მოსდის პირზედა:
„ახალმა წელმა ახალი,
ვთხოვ უფალს, მოგცეთ ბედია—
ცხვარი და ძროხა ურიცხვი,
დოვლათი მეტის-მეტია.
შენ [illegible]ად, ღმერთო, გამგონე,
რაც ეხლა [illegible]იყბედია!“

აბერებს ყველას თაფლითა,
თხილს აძლევს... დასაკვნეტია.

**
*

ჯიბე აივსეს ბალღებმა,
ცას ეწევიან ლხენითა...
მეკვლეც ჩამოსვეს ტახტზედა,
ტკბილ მოუბარი ენითა.
წინ ხონჩით პური მიართვეს,
ზედ თაფლიანი ჯამია;
მხოლოდ ეს ესმის მეკვლესა:
„აბა, მიირთვი, ჭამია!“
გვერდს უდგა სასმლით ხელადა,
იქ რომ სამ-ფეხა სკამია,
თეთრუაც წამოჩოქილი
ცალს მუხლზე იქვე არია.
„მიირთვი, ბერო, არაყი,
თუმცა ვერ არი მწარია;
არ დავაცადე, ავჩქარდი,
ოხერი უფუარია“.
—არაყს მიზეზი არა აქვს!
რაც გითხრა, უტყუარია.
„აბა, მაშ კარგა მიირთვი!“
თან მიაწვადა ყანწია.
„არაყისათვის ნუ გვზოგავ,
გადაიწურე, ასწია!“
მეკვლეც ჰსვამს, ხოლო ნარჩომსა
ცეცხლს უძღვნის, ადის ალია.
—არაყს ხო ქება არ უნდა,
ვატყობ ექნება ძალია...
კვალად და კვალად სთავაზობს
დად გაფიცული რძალია...
მეკვლესა სადღეგრძელონი
პირს მოსდის, როგორც წყალია.
ქვაბში ხინკალი თლუხთლუხებს,
იგი უსმელად მთვრალია.
ბედნიერია ოჯახი,
ტრიალებს ღვთისა თვალია;
იკურთხოს მოსვლა მეკვლისა,
იკურთხოს მისი კვალია!

გაჟა-ფშაველა.

# ერთხელ ჯოჯოხეთში...

სააახალწლო ფანტაზია

ახალწლის წინა დღით ისეთი გაჯავრებული დავბრუნდი სამსახურიდან, რომ დანა კბილს არ გამიხსნიდა. ეჰ, ან კი როდისა ვყოფილვარ კარგ გუნებაზე? ადამიანი მქვიან, მაგრამ ადამიანური ცხოვრება კი არა მაქვს. მუდამ სხვის თვალსა და ხელში შემაყურებელს, ერთხელაც არ ამომისუნთქავს თავისუფლად, ცის ამარა დღე სხვის ბრძანებაზე დავდივარ და თუ ღმერთი გამიწყრა და როგორმე ფეხი გადამიბრუნდა ხოლმე, ათასგვარი დამცირება უნდა გამოვიარო და დავუმტკიცო „ვისაც ჯერ არს“, რომ მე იმისი ყურ-მოჭრილი მონა-მოსამსახურე ვარ.

ოხრათამც დარჩენილა ასეთი სიცოცხლე!..

მოვდიოდი თავჩაღუნული, გულში ჯოჯოხეთი მიტრიალებდა, მაგრამ ნაცნობების დანახვაზე მაინც სულელურად ვიღიმებოდი. რას იზამ, ბატონო, გულწრფელობა დიდი თავხედობაა და ან კი ვისა აქვს შენი ჯავრი? მთელი დღე ხარივითაც რომ იბღავლო, კაცი არ შემოგხედავს. ბიჭი მაშინა ხარ, თუ გაქვს რამე, თუ შენგან გამოელიან რამეს, თორემ თუ გიჭირს, მაშინ ვის რა თავში სახლელად უნდიხარ?..

კარგა დაბინდებული იყო, შინ რომ მოვედი. შევაღე თუარა სახლის კარები, ჩემიანები ყველანი ფეხზე წამოიჭრნენ და ხელებში დამიწყეს ყურება. რა მოგვიტანე? ამოვიკითხე ამათ სახეზე. არაფერი მომიტანია-რა, მეთქი უნდა მეთქვა, მაგრამ ხელში ერთი კოჭობი თაფლი, ერთი გირვანქა იაფ-ფასიანი კამფეტი და გირვანქა-ნახევარი ნიგოზი მეჭირა და აღარა ვსთქვირა. მოწიწებით დავაწყე საახალწლო სანოვაგე მაგიდაზე და მეორე ოთახისაკენ გავეშურე.

ჩემი შვიდი თუ რვა შვილი—ერთი-ერთმანეთზე ჟიჟმატები—აფთარივით ეცნენ მაგიდას და ჯერ ჩემი ცოლი და სიდედრი გონს არ მოსულიყვნენ, რომ ქაღალდის პარკები გაფათრეს და ერთი წივილ-კივილი შეუდგათ...

— დაყარეთ, დაყარეთ, თქვე ეშმაკის შვილებო!—შეჰღრიალა ჩემმა ცოლმა.

— მიწამ კი გიყოთ პირი, კარგი ბავშვები თქვენა ხართ, ჰო-და ანგრე!..—დაიბუზღუნა ჩემმა სიდედრმაც. თითო-თითო ყველას წაუთაქა კოსროში და კამფეტები ხელიდან გამოჰგლიჯა.




გურია. ქალი და კაცი ღობესთან.

ასტყდა ერთი ვაი-უშველებელი. სწორეთ ღვთის ცეცხლი დატრიალდა ჩემს პატარა ბინაზე. წივილ-კივილი, ტირილი, წყევლა-კრულვა, მუქარა, გაანჩხლებულ ბავშვების ფეხებისა და ხელების ქნევა, დედაბერის ჩიფჩიფი, ცოლის ხავილი—ერთმანეთში აირია!...

მე კი ვეგდე ჩემს ლოგინზე გულ-აღმა. ხელები თავ-ქვეშ მქონდა ამოდებული, თვალები ჭერში ერთი წერტილისათვის მიმეჩერებინა და ვფიქრობდი...

— რას გაჭიმულხარ ურიის მკვდარივითაო—დამჭყივლა თავს ჩემმა დედაკაცმა:—გადი, ი ბავშვები დააჩუმე, თორემ არ ვიცი რას უზამო...

ეფროს ხმა უკანკალებდა, თვალებიდან სიბრაზის ნაპერწკლები სცვივოდა. ამ გვარ ყოფნაში ხუმრობა არ იყო მასთან ლაპარაკი და რადგან მეც გულამღვრეული ვიყავ, ლოგინიდან ნახევრად წამოვიწიე და გაღებულ კარებში მეხივით გავძახე.

— ჩუმათ იყავით, თქვე ძაღლის ლეკვებო-მეთქი!—ჩემმა დაყვირებამ გასჭრა. ბავშვებმა ხმა გაიკმინდეს. ისმოდა ღა მარტო ყრუ ქვითინი და ხმა-ჩახლეწილად „მომე, მომე“-ს ჩურჩული... ცოტა ხანს შემდეგ ეს ხმებიც მისწყდა და ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

ისევ ლოგინზედ მივწექ. ეფროც ტახტზედ ჩამოჯდა და გულ-ხელ დაკრეფილი მგლოვიარესავით გამოიყურებოდა.... რამდენისამე წუთის შემდეგ დედაბერიც გამოფრატუნდა ჩემს ოთახში. ტახტის წინ მდგომ სკამზე ჩამოჯდა და ამანაც გულხელი დაიკრიბა. ვსდუმდით სამივე. მაგრამ ეს დუმილი ღრიანცელზე უარესად მიღადრავდა გულს. ვიცოდი რომ ასეთი უცნაური დუმილი სახეიროთ არ გათავდებოდა...

ასეა! ცა რომ მოქურუშდება და ბუნება სულთქმას იკავებს, სეტყვა გლეხის ნაჭირნახულევს გაანადგურებს ხოლმე!

გულის კანკალით მოველოდი სიჩუმის დარღვევას.

ჯამაგირი აიღე?—დამეკითხა ეფრო.

— აიღებდა მარა?—ჩემ მაგივრად უპასუხა დედაბერმა.

— არ ამიღია!—სიტყვა მოვუჭერ ორივეს.

ახლა კი გასკდა ყუმბარა:

— მაშ, რითი გნებავს, რომ ამ დღესასწაულებს გაუძლვე?—გესლიანად შემეკითხა ეფრო.

— მეც სწორედ მაგაზე ვფიქრობ-მეთქი,—ხმა დაბლა ვუპასუხე და თვალითა ვსთხოვე, შევებრალებინე, მოვესვენებინე.

— ამაზე დაუდევარი კაცი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს!—დაიწყო დედაბერმა.—კაცო, რატომ ფეხებში არ ჩაუვარდი უფროსს, რატომ წინ-და-წინვე არა სთხოვე ფული. აბა ახლა რა ვქნათ?—აღარ ისვენებდა ბებერი.

— მე რა ვიცი!—ვბურტყუნებდი ჩემთვის.



გურია. ჯიხეთის მონასტრის მონოზნები ყანაში.

— შავი ქვა იცი და ნაცარი ცხელი! შენ ხელში ერთი დღე არ გამიხარნია!—დაიგმინა ეფრომ, ბარბაცით გავიდა მეორე ოთახში და კარები მოაჯახუნა.

— ვიშ, ვიშ!—დაიჩიფჩიფა ბებერმაც და ისიც უკან გამოუდგა.

დავრჩი მარტოკა ჩემ ოთახში, გალანძღული, შეურაცხყოფილი, სისხლი გულში ჩამექცა და ჩემი თავი წარმოვიდგინე მჩვრად, არა ადამიანად. დღე და ღამ სხვის ხელის შემაყურებელი, სახლშიაც არ ვიყავ განკითხული. რატომ?..

ეხ, ფულებო, ფულებო—მეთქი, ვბუზღუნებდი და ვწყევლიდი ასეთ ურთი-ერთობას, რომელიც მარტო ლითონზეა აგებული. ფიქრმა და დარდმა დამაოსა. ჩემმა უმწეო მდგომარეობამ დამარეტიანა. სიყვარული სიმძულვარედ გარდამექცა, სიბრალული ადამიანის დამამცირებლად მომეჩვენა, აღარა მწამდა-რა ამ ქვეყნად, გარდა შურის-ძიებისა.

— შენც ადამიანი ხარ, შენც გინდა ცხოვრება თუ არა?—ვეკითხებოდი ჩემ თავს და ათასგვარის წარმოდგენებით გარემოცული ზიზღით შევყურებდი ასსა და ათასს ჩემისთანა გლახაკს, მჩვრად ქცეულ ადამიანებს, მუდამ მოტირალთ, მუდამ მოწუწუნეთ, ქედ-დაბალთ და დაბრიყვებულთ...

— გამარჯობა შენი!—მომესმა ვიღაცას ხმა.

დავაცქერდი—ჩემ სიდედრსა ჰგავდა, თვალი მოვიფშვნიტე—ეფროდ მომეჩვენა, გავუცინე—კატად იქცა, დავუცაცხანე—მზეთ-უნახავ ქალად მომელანდა. ისეთი ტურფა, ისეთი მშვენიერება რამ იყო, რომ მოწიწებით განზე გავდექი და აღტაცებით ყურება დავუწყე.



გურია. საპარასკევოზე (ბაზრობა პარასკევობით).

— მოგწონვარ? დამეკითხა ცბიერის ღიმილით.

— ისე მომწონხართ, ისე, ისე, რომ...



გურია. ჯიხეთის მონასტერი. ტილოს ქსოვა.

— ადამიანები ცრუები, გულგრილები ხართ!—დამიყვირა ქალმა და თვალის დახამხამებაზე გოლიათად გარდაიქცა. ხელში ვეებერთელა შურდული ეჭირა.

მე პირჯვრის გადაწერაც ვერ მოვასწარ (მივხვდი რომ ჩემ წინ ეშმაკი იდგა), რომ დამავლო ხელი, ჩამდო შურდულში, დამაპროწიალა და უფსკრულისკენ გამტყორცნა...

შიშისაგან მუშტისოდენა გავხდი. თვალები დავხუჭე და გულის კვნესით მოველოდი ჩემის აღსასრულის დღეს...

— აღარ მახსოვს, რამდენი ხანი ვიფრინე, რამდენ უზარმაზარ მთას გადავევლე, რამდენ ზღვასა და მდინარეს გავცილდი, მხოლოდ თვალები რო გავახილე, ერთ დაბურულ და კლდე-ღრეებით სავსე ხევში კი დავინახე ჩემი თავი. ისეთი ყრუ გმინვა, ისეთი ძრწოლა გამეფებულიყო ჩემს გარშემო, რომ შიშისაგან პირში ნერწყვი მიშრებოდა... სულის ამოსვლას ველოდი.

— გამარჯობა შენი!—კვლავ მომესმა ნაცნობი ხმა.

გავიხედე—ჩემი უფროსი დავინახე, მივესალმე კრიტიკოსი გამოდგა, ხელი გავუწოდე—გაკაჭკაჭდა, გავჯავრდი—კვლავ მშვენიერ ქალად გარდაიქცა.

— ღმერთო დამიხსენ ამ მაცდურისაგან-მეთქი! წამოვიძახე შეშინებულმა და პირჯვრის გამოსასახავად ხელი მაღლა ავწიე.

— ჰა, ჰა, ჰა!—გადიხარხარა ათასმა გრძნეულმა:—თავისს რჯულის გამოჩენასაც რომ აპირებს!—დაიყვირეს აქეთ-იქიდან და შემომეხვივნენ.

თქვენ მტერს დაადგეს ის დღე, რაც მე იმათ დამმართეს. თითოს ისეთსა ჩამთხლეშავდნენ ხოლმე თავში, რომ სულ ტვი-



გურია. ნიგოითის ორ კლასიანი სასწავლებელი.

ნი მირატრატებდა. ბევრი ვეხვეწე, ბარემ მომკალით მეთქი, მაგრამ ვინ გამიგონა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიდევ გაჰბედავ პირჯვრის დაწერას?—მეკითხებოდნენ აქეთ-იქიდან და თან მუჯლუგუნებს მარტყამდნენ...—აქ შენი ქვეყანა ნუ გგონია, აქ ჯოჯოხეთიაო!..

— ჯოჯოხეთი?!—დავეკითხე აკანკალებულის ხმით და ცრემლები წამომცვივდა. მართალია, საძოთხის ღირსად ჩემი თავი არასოდეს არა მგონებია, მაგრამ თუ ასეთ სატანჯველში ჩავვარდებოდი, ეს კი არ მიფიქრნია.

— ვისაც კაპასი სიდედრი და ცოლი ჰყავს, იმას განა კიდევ ჯოჯოხეთი ეკუთვნის, ეს სადაური სამართალია-მეთქი?—დავეკითხე.

— ია, უა, ია, უა!—ჩაიკლიმანჭურა ერთმა გრძნეულთაგანმა და ამ კლიმანჭურს მთა-ღრემ ხვიხვინით ბანი მისცა. საზარელი რამ ხმა იყო ეს ხმა. მის გაგონებაზე ძარღვებში სისხლი გამეთოშა... შიშისგან კინაღამ თვალები არ წამომცვივდა...

— აა! ვახლავართ, ვახლავართ! მშვიდობა თქვენ მობრძანებას... ძლივს არ მოხვედი?..—შემომძახეს უჩინარებმა. მე ციბრუტივით დავტრიალდი. არავინა სჩანდა. დავიკუზე—მიწის პირათ უთვალავი ფოცხვერი დაკუნტრუშებდა, დავუშტვინე—ყველა ყალყზე შედგა, დავკივლე—ყველა შემომეხვია. გამწიეს, გამომწიეს, დამბეგვეს და ხრამში გადამისროლეს.

ძვლებმა ელვა დამიწყეს...

ვკვდებოდი კაცი!

— მოიყვანეთ!—დაიძახა ვიღაცამ.

მთა მაღლა ავიდა. მთის ძირიდან გამოვიდა უზარმაზარი სპილო, დამავლო ხორთუმი, ჰაერში შემატრიალ-შემომატრიალა, მინდორზე გადამისროლა და თან მომაძახა:

— წელან სამართალს ეძებდი და ახლა ნახავო!

— თქვენ თქვენი ღმერთი, მომასვენეთ, ჩემი თავის მოსამართლე მევე ვიქნები-მეთქი!—დავიკვნესე და მიწაზე გავიშხლართე.

— აბძანდით, ნესტი გაწყენთო!—კიდევ მომესმა ნაცნობი ხმა. შევაჩერდი—ჩემი ეფრო მომეჩვენა, გავიხარე—პირდაღებული ვეშაპი მოკურავდა ჩემკენ. შიშისაგან გავიწურე—ისევ ლამაზი ქალი მიდგა გვერდით და იღიმებოდა. იმისი კბილთა შუქი ველ-მინდორს ანათებდა... თვალი ამეხილა, ყველაფერი დავინახე. რაღას ვიტყოდი, თუმცა კი გულში ვფიქრობდი: „ეს ეშმაკი, რატომ თავს არ დამანებებს მეთქი.

— გიყვარვარ?—შემეკითხა ეშმაკი.

— მიყვარხარ ისე, როგორც ძაღლს—ჯოხი!—მოწიწებით ვუთხარი.

— მეც ისე მიყვარხარ, როგორც ჯოხს—ძაღლი!—მიპასუხა.

არ ვიცი როგორი გრძნობა გამოვხატეთ ამ სიტყვებით, მაგრამ ჯოჯოხეთში თურმე ასე ლაპარაკობენ...

— როდემდის უნდა მაწვალოთ?—სიტყვა გადავუბრუნე ქალწულს.

— ვიდრე არ დაინგრევა ბჭენი ჯოჯოხეთისანი!—მიპასუხა.

— მალე დაინგრევა-მეთქი?—გავიხარე.

— მეორეთ მოსვლაზეო!—შეჩვენებულმა ქრისტეს სახელი კი ვერ ახსენა.

— ქრისტე ღმერთო...—დავიწყე ლოცვა.

— სსუ, ხმა, კრინტი არ დასძრა!—დამიყვირა ქალწულმა, თვალის დახამხამებაზე ვეფხვად გარდაიქცა, დამავლო კბილები და ერთ კლდესთან მიმათრია.

— აი, მოვიყვანე!—შეჰღმუვლა კლდეს.

— კლდე გაიხსნა და უზარ-მაზარმა გველმა თავი გამოჰყო. შხამიან ენას საზარლად ასისინებდა.

— ვინ არის?

— იმის მიმდევარი, ხალხი რომ მაცხოვარს ეძახის...

— შამფურზედ შევწვათ!

— ანძაზედ ჩამოვკიდოთ!

— დავახრჩოთ!

— ცოცხალი დავმარხოთ!..

— დავკეპოთ!..

მოისმა აქეთ-იქიდან საზარელი ხმები. მე ცოცხალ-მკვდარი ლა ვიყავ.

— ჩქარა მომკალით-მეთქი!—შევეხვეწე.

— არა, ჯერ კიდევ უნდა გაწვალოთო!—მიპასუხეს გველურის ღიმილით და ერთ ტრიალ მინდორზედ გამაგდეს.

ცოტა თავისუფლად ამოვისუნთქე, დამტვრეული ძვლები დავიზილე, თვალები მოვიფშვნიტე და მორიდებით იქაურობას



მოგილოცავთ ახალ წელიწადს!

თვალიერება დავიწყე. რაღაც საყვირის ხმა მოისმა და იმან უფრო გამომაფხიზლა.

რაც ჯოჯოხეთში ეშმაკები იყო, საყვირის ხმაზე მინდვრის მეორე ნაპირისკენ მოჰკურცხლეს. ღმერთმა დალახვროს იგინი, მაგრამ საზარელი სახისანი კი იყვნენ. ზოგი სპილოს სახისა იყო, ზოგი დათვისა, ზოგი თხისა, ზოგი ციკნისა, ზოგი ადამიანებს ჰგვანდნენ, მაგრამ ვეებერთელა კუდები კი დასთრევდათ, ზოგს სახე გველისა ჰქონდა, რქები—თხისა, წვერები—ფუჩეჩისა, ზოგს ხელებზე ჩლიქები ჰქონდათ, ფეხებზე-კი ხელები, და სხვა-და-სხვა... უკრავდნენ საყვირს განუწყვეტლივ. ბლაოდა მთელი მიდამო, დახტოდნენ კუდიანები და მეც კი შიშითა ვცახცახებდი. ბოლოს საყვირი მიჩუმდა. ეშმაკები დალაგდნენ, სული განაბეს.

მე ბელურასავით ჩავჯექ ერთ ბუჩქში და იქიდან ვათვალიერებდი. მგონი ეშმაკებს გადავავიწყდი და ხსნის იმედი მომეცა. გამოპარვაც კი განვიზრახე...

ადამიანი? ეშმაკზე ეშმაკია, თუ კი მოინდომა!

უცბათ საშინელი ჩოჩქოლი ჩამოვარდა.

— მოდიან, მოდიან!—აბლავლდნენ ეშმაკები.

გულმა ცემა დამიწყო და თვალებად გარდვიქეცი. ჩემს პირდაპირ გამოჩნდა თვით ბელზებელი. ტანი ხარისა ჰქონდა, ყურები ვირისა, კუდი ვეშაპისა, თვალები შხამიანი გველისა, პირიდან ცეცხლის ალი ამოსდიოდა და ისე საზარლადა ბღაოდა, რომ ცა და დედამიწა ინგრეოდა. ბელზებელს უკან მოსდევდა, ეშმაკთა ტანისამოსის გამგე ადრემელექი, ეს მარჯვენა ხელი ბელზებელისა. ადრემელექს ამ ჟამად თხის ტანი ჰქონდა, ციყვის ყურები და კამეჩის რქები. გულ-შემზარავის შეხედულობისა იყო. იმის მომზირალს ენა მუცელში ჩამივარდა. ადრემელექს მოსდევდა ასმოდეი, ეს მთავარ ეშმაკი გარყვნილებისა და „კარტოჟნიკობისა“. სახე გველისა ჰქონდა. ასმედეის მისდევდა სამიელი—მთავარ ეშმაკი სნებათა, მიწისძვრათა, ომიანობისა და ყოველივე უბედურებისა. ესეც პირიდან ცეცხლს აფრქვევდა. ტანი ხბოსი ჰქონდა, ფეხები ადამიანისა და სახე მაიმუნისა...

დიდის ზარითა და ზეიმით მოდიოდნენ ეს მთავარი ეშმაკნი. მათ დამნახველებმა ასი ათასმა ლეგიონმა ეშმაკებისამ კუდები დაბლა დახარეს, თვალები დაბლიტეს და მოწიწებით მიესალმნენ...

მთავარი ეშმაკები შუა მინდორზე შესდგნენ.

— მინდა გავერთო!—დაიბუბუნა ბელზებელმა. პირიდან ცეცხლის ალი ამოუშვა და თუ სადმე ყვავილ ბალახის ნასახი იყო, სულ ერთიანად მოტუსა. მეც კი კანი ამეწვა. ასმოდეი და სამიელი ელვასავით დაერივნენ წვრილ ფეხა ეშმაკებს და ლეგიონებად დაჰყვეს! ადრემელექმა ყველას ტანისამოსი დაურიგა.

გართობა სამიელის ლეგიონიდან დაიწყო. უთვალავი ეშმაკეულობა დაერია ერთმანეთს და ბღავილ-ჭყვიტინით საშინელი მუშტის კრივი გაჰმართეს. ერთი მეორეს წაავლებდა ხოლმე ფეხში ხელს და მესამეს მეორეთი თავში სცემდა, მესამე მეოთხეს ახტებოდა ზურგზე და შეუბრალებლად ურტყავდა. ამოჟუჟეს, ამოჟლიტეს ერთმანეთი ეშმაკებმა, ბელზებელი კი სიცილით იხოქებოდა... მე ველარ ვუყურე იმათ საცოდაობას და ახლა ასმოდეის ლეგიონებისაკენ ვქენი პირი.

მშვენივრად დართულ-დაკაზმული ეშმაკები (ყველას ადამიანის სახე მიეღო, მომეტებულ ნაწილს—ქალებისა) ჩასხდომოდნენ ბანქოს, ნარდს, ბილიარდს. მოედგათ გვერდზე ძვირფასი და უუძვირფასესი სასმელები, სვამდნენ თავ-დავიწყებით და თამაშობდნენ გატაცებით.

— ხლუსტ, ბანკ, ვისტ, ფას, Краснымъ-желтый въ уголъ-დუ-შაში, დუბარა!—გაჰკიოდნენ გალეშილი ეშმაკები და მილიონებით ისროდნენ ქაღალდის ფულს, ოქროს, ვერცხლს.

იქვე იმათ მახლობლად დატიტვლებული ქალ-ეშმაკები, ძვირფასს ნელ-საცხებელით იბანდნენ ტანს, ქაღალდის ათ-თუმნიანებს მათი საყვარლები ასანთის მაგიერად ხმარობდნენ... იმოდენა ფული იპნეოდა, იმოდენა ძვირფასი სასმელები ილვრებოდა, რომ ყველა ეს ადამიანებს რომა ჰქონოდათ განაწილებული, არც ერთი ღარიბი დედამიწის ზურგზე აღარ იქნებოდა...

— ნეტა რამდენიმე ათ-თუმნიანი მე მაინცა მქონდეს, ვალებს მოვიშორებ და რიგიანათ ვიცხოვრებ მეთქი!—ვინატრე ქართველურად და ეშმაკებს თვალები დავუბრიალე...

მაგრამ ნატვრა აღარ დამცალდა. თითქოს მოვაგონდითო, გალეშილ-გახეთქილი ეშმაკები წივილ-კივილით წამოიშალნენ და ჩემკენ გამოქანდნენ. თვალთ დამიბნელდა, ყურებმა შუილი დამიწყეს. გავშრი... ახლა კი სიკვდილის დღე დამიდგა... „ღმერთო მიშველე, ღმერთო მიშველე—მეთქი“—ამას ღა ვიძახდი გუნებაში.

— ასე ტკბილად დამიბერდი, უქნარა!—მომესმა ნაცნობი ხმა. თვალები გავაჭყიტე და გიჟივით მიმოვიხედე ჩემს გარშემო.

— არ გესმის, ძილის გუდა, გოზინაყი ჩამომართვი—აღარ მასვენებდა ნაცნობი ხმა.

თვალები მოვიფშვნიტე და მხოლოთ ახლა დავინახე, რომ ჩემ სიდედრს გოზინაყი უკვე მოემზადებინა და „მაბერებდა“.

მწარედ გამეცინა. სიზმარს ისე შევეშინებინე, რომ ჩემის სიდედრის მამზერალს ჩემი თავი ისევ ჯოჯოხეთში მეგონა...

ია ეკალაძე.

**ბათუმის თეატრში მომხდარ ინციდენტის გამო**



— საკვირველია ჩვენი საზოგადოება! რაც ჩემი ხელობაა, ამისათვის დამპალ ვაშლებს მესვრიან, გაზეთის რედაქტორობისათვის კი, რომელიც ჩემი ხელობა არ არის, ხმას არ მცემენ!..

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.